პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 26 (414) პარასკევი, 30 ივნისი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

## საბჭოთა კავშირი — მშვიდობისათვის ბრძოლის დიდი მედროშე

მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა დიდი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას, რომელშიც გამოხატულია დიადი საბჭოთა კავშირის სოლიდარობა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებასთან — აიკრძალოს ატომური იარაღი, დაწესდეს ამ აკრძალვის შესრულებისადმი სასტიკი საერთაშორისო კონტროლი და სამხედრო დამნაშავედ გამოცხადდეს ის მთავრობა, რომელიც პირველი იხმარს ატომურ იარაღს.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, რომელმაც გამოხატა საბჭოთა ხალხის ურყევი ნება მშვიდობისადმი, განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოთა საკანონმდებლო ორგანოებთან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წინადადებათა განხორციელებისათვის საჭირო ზომების შემუშავებასა და შესრულებაში. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის სახელით რწმენა გამოსთქვა, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის, კვლავაც მტკიცედ და შეუპოვრად განახორციელებს ხალხთა მშვიდობიან და მეგობრული ურთიერთობის ამ პოლიტიკას, მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით საჭირო ზომებს და გამოიყენებს ყველა სხვა გზას საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ რწმენა გამოსთქვა, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობას და, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას.

სსრ კავშირის მთავრობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მტკიცედ ასრულებს თავისი ხალხის ნებას, მის მისწრაფებას მშვიდობისაკენ, მშვიდობის მომხრე სხვა ხალხებთან მეგობრობისაკენ. ჩვენი მძლავრი სამშობლო, ჩვენი ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია, ჩვენი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი დგანან მშვიდობისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, რაზმავენ და წინ მიუძღვიან ხალხთა უფართოეს მასებს მშვიდობისათვის მტკიცედ საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის ხალხები, რომელთაც აერთიანებს ურღვევი სტალინური მეგობრობა, ამაყობენ იმით, რომ დიადი საბჭოთა კავშირი მეთაურობს მშვიდობისათვის მებრძოლთა მძლავრ მოძრაობას მთელს მსოფლიოში. ეს მოძრაობა დღითი დღე იზრდება და ფართოვდება. დედამიწაზე არ დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც არ აზვირთებულიყოს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ტალღა. უკვე ას მილიონზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის კონგრესის მოწოდებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება — ეს საბჭოთა მთავრობის კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯია იქითკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული სისხლისმღვრელი ომი, მიღწეული იქნეს მშვიდობა მთელს მსოფლიოში.

მშვიდობისმოყვარე ხალხებმა კარგად იციან, თუ რატომ სჭირდებათ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს ახალი ომის გაჩაღება: კაპიტალიზმი ომში ეძებს გარდუვალი დაღუპვისაგან გადარჩენას. საბჭოთა კავშირისადმი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი სიძულვილით აღვსილი რეაქციონერები, რომელთაც მეთაურობენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, ატომური ბომბით აშინებენ ხალხებს, მაგრამ მათი ცდა ამაოა. მშვიდობის მომხრეთა ძალები უძლეველია! მათ ძალუძთ ალაგმონ იმპერიალისტები.

მსოფლიოს ხალხები, რომლებიც ისწრაფვიან მტკიცე მშვიდობისაკენ, იმედის თვალით შეჰყურებენ დიად საბჭოთა კავშირს — მშვიდობისათვის ბრძოლის დიდ მედროშეს, ყველა მშრომელის მტკიცე დასაყრდენს და იმედს.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, როგორც განაცხადა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან უკრაინელმა დრამატურგმა ა. კორნეიჩუკმა, არ ვიშურებდით და არც დავიშურებთ ჩვენს ძალებს მთელს მსოფლიოში მშვიდობისათვის საბრძოლველად. ჩვენ ახალი საზოგადოების მშენებლები ვართ, და ჩვენთვის არ არის იმაზე მეტი სიხარული და ბედნიერება, ვიდრე კომუნიზმის ნათელი შენობის აგება. აშენოს, შექმნას, უყვარდეს სიცოცხლე, აღზარდოს ბავშვები, აღზარდოს ახალ მშენებელთა და შემოქმედთა თაობა — ამით ცოცხლობს საბჭოთა ხალხი. ყველა ხრიკს ომის გამჩაღებელთა, რომლებიც სიკვდილსა და ნგრევას ამზადებენ, ჩვენ ვუპასუხებთ: „ჩვენ არ ვთხოულობთ მშვიდობას, ჩვენ მას მოვიპოვებთ მშვიდობის ყველა მომხრის გაერთიანებული ძალღონით, ჩვენი ერებისა და მთელი მსოფლიოს ხალხების ყველა პატრიოტის გაერთიანებული ძალღონით".

## ახალი რეკორდები

⊙ მოსკოვში ჩატარდა ამანათრბენი 400+300+200+100 მეტრზე „დინამოს" ვაჟთა და ქალთა გუნდებისათვის.

დაძაბული ბრძოლის შედეგად ქალთა პირველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბლინოვა, ჩუდინა, სეჩენოვა და მალშინა, დისტანცია დაფარა 2 წუთსა და 15,9 წამში. ქალთა მეორე გუნდმა ვარფოლომეევას, პომოგაევას, დუხოვიჩისა და კვაშნინას შემადგენლობით იგივე დისტანცია დაფარა 2 წუთსა და 16,3 წამში. ორივე შედეგი აღემატება ოფიციალურ საკავშირო რეკორდს.

ვაჟთა გუნდმა მოდოის, კომაროვის, სუხარევისა და კარაკულოვის შემადგენლობით ამავე დისტანციაზე დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—1 წუთი და 55,9 წამი.

⊙ ბერლინში ამას წინათ ჩატარდა სრულიადგერმანიის ახალგაზრდობის შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა სპორტულმა დელეგაციამ. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ახალი წარმატება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჩუდინამ (მოსკოვი). მისი შედეგი გამორბენით სიგრძეზე ხტომაში—5,95 მეტრი—ახალი საკავშირო რეკორდია.

## სტარტზე იყო 1.978 მძლეოსანი

★ ★ ★



ჩვენი სამშობლოს ასობით ქალაქში წარმატებით ჩატარდა მძლეოსანთა მეორე საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების პირველი ტური. სტადიონებზე გამოვიდა ათი ათასობით ახალგაზრდა ფიზკულტურელი და სპორტსმენი. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რბენაში სხვადასხვა დისტანციებზე, სიგრძეზე და სიმაღლეზე გამორბენით ხტომაში, ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში.

მძლეოსანთა შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა.

წარმატებით ჩატარდა შეჯიბრების პირველი ტური ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, სადაც სტარტზე გამოვიდა 1978 მძლეოსანი.

**სურათებზე:** სპორტის ოსტატი ნ. ხნიკინა (მარცხნივ) სიგრძეზე ხტომის დროს და სპორტის ოსტატი ლ. სანაძე 100 მეტრზე რბენის ფინიშთან.



★ ★ ★

თბილისის სტადიონებზე დედაქალაქის რაიონების მძლეოსანთა ნაკრები გუნდები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას საკავშირო დაუსწრებელ მატჩში.

შეჯიბრების საერთო შედეგები მოწმობენ თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. თუ გასულ წელს დაუსწრებელი მატჩის პირველ ტურში დედაქალაქის მძლეოსნებმა 268.047 ქულა მოაგროვეს, წელს ქულათა რაოდენობამ 409.289 მიაღწია.

მძლეოსნების წარმატებას ადასტურებს თანრიგოსანთა ნორმატივების შესრულებაც. თუ, მაგალითად, გასულ წელს თანრიგოსანთა 105 ნორმატივი შესრულდა, წელს მათი რიცხვი 249-მდე გაიზარდა.

განსაკუთრებით კარგი შედეგებია მიღწეული მამაკაცთა შორის 100 მეტრზე რბენაში. შეჯიბრების 100 მონაწილიდან 88 კაცმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივები, მათ შორის ერთმა ოსტატისა, ერთმა პირველი თანრიგისა, 12-მა მეორე თანრიგისა და 74-მა მესამე თანრიგისა.

მძლეოსანთა დაუსწრებელ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა საუკეთესო სპორტსმენმა—სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ნ. დუმბაძემ და ე. გოკიელმა, სპორტის ოსტატებმა ლ. სანაძემ, ნ. ხნიკინამ და სხვებმა. კარგი შედეგით გაირბინა 100 მეტრი ლ. სანაძემ, (10,6 წამი). ნ. ხნიკინამ სიმაღლეზე ხტომაში 150 სანტიმეტრი დასძლია.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ხეროდინაშვილმა 100 მეტრი გაირბინა 11,1 წამში, ხოლო ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ახალგაზრდა მუშამ ლ. ნიკოლოსოვმა — 11,3 წამში.

მიღწევებთან ერთად შეჯიბრებამ ნათელჰყო, რომ თბილისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ მოისუსტებს გრძელ და საშუალო მანძილებზე მორბენალთა მომზადება. მაგალითად, 5.000 მეტრზე რბენაში 120 მორბენალიდან მხოლოდ ოცმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივი. ქალთა შორის 400 მეტრზე 113 მორბენალიდან მხოლოდ სამმა შეასრულა სათანრიგო მოთხოვნა. დაბალი შედეგები იქნა ნაჩვენები აგრეთვე ბადროს ტყორცნაში. 111 მძლეოსნიდან მხოლოდ ერთმა (ნ. დუმბაძე) შეასრულა ოსტატის ნორმა, სამმა კი — მესამე თანრიგისა.

შეჯიბრებამ ცხადჰყო აგრეთვე, რომ მთელი რიგი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების („მედიკი" „პიშჩევიკი", „სპარტაკი", „მოლნია" და სხვ) ძირეულ კოლექტივებში ჯერ კიდევ თავის მოწოდების სიმაღლეზე არ დგას მძლეოსნური სპორტის განვითარების საქმე.

## მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის წინ

2 ივლისს თბილისში იხსნება საქართველოს მოსწავლეთა მესამე საზაფხულო სპარტაკიადა. მასში მონაწილეობას მიიღებს 1.800 ნორჩი სპორტსმენი.

სპარტაკიადას წინ უძღოდა შერჩევითი შეჯიბრებანი, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა 100 ათასზე მეტი მოსწავლე. ამ შეჯიბრებებისა და თვით სპარტაკიადის მონაწილეთა ესოდენ დიდი რიცხვი მოწმობს სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებას.

წინანდელი სპარტაკიადებისაგან განსხვავებით წელს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული არიან მოსწავლეები, რომელთაც აქვთ არანაკლებ მესამე სრულიად საკავშირო სპორტული თანრიგისა. სპარტაკიადის ყველა

⊙

**საუბარი სპარტაკიადის მთავარ მსაჯთან ამხ. გ. მერკვილაძესთან**

⊙

მონაწილე იმ'ით და მ'ით პირველი და მეორე საფეხურის ნიშნოსნებია, ხოლო მონაწილეთა 20 პროცენტი სწავლის ფრიადოსანია.

სპარტაკიადა დიდი და პასუხსაგებ ლონისძიებაა. იგი დაგვეხმარება კიდევ უფრო ავამაღლოთ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, გამოვავლინოთ მათ შორის საუკეთესო სპორტსმენები.

შეჯიბრების პროგრამაშია მძლეოსნობა, ტანვარჯიში, კალათბურთი და ჩოგბურთი. გათამაშებული იქნება აგრეთვე რესპუბლიკის პირველობა ფეხბურთში, ცურვასა და ჭადრაკში.

სპარტაკიადაში საერთო გამარჯვებულისათვის დაწესებულია გარდამავალი ჯილდო — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წითელი დროშა, რომელსაც ამჟამად ფლობენ თბილისელი მოსწავლეები. მძლეოსანთა საუკეთესო გუნდისათვის, გარდამავალი ჯილდოს გარდა, დაწესებულია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ჯილდო — თასი. დაწესებულია აგრეთვე ჯილდოები ფეხბურთში, ტანვარჯიშში, კალათბურთში გამარჯვებულთათვის.

სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნება 2 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე დილის 10 საათსა და 30 წუთზე.

## ალმოუფხვრელად ჩამორჩენა გეგმების შესრულებაში

### თათბირი საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტში შედგა თათბირი, მიძღვნილი ფიზიკური კულტურის განვითარების გეგმის შესრულებისადმი. თათბირს ესწრებოდნენ ფიზკულტურის საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და პარტიის რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები.

მომხსენებელმა აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. წურწუმიამ აღნიშნა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმების შესრულების საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. განსაკუთრებით ჩამორჩება სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება. მაგალითად, პირველ თანრიგზე სპორტსმენთა მომზადების გეგმა შესრულებულია 2,6 პროცენტით, მეორეზე — 15,5 , მესამეზე — 10,4 და მოზარდთა თანრიგზე — 9 პროცენტი. დღემდე არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ ოჩამჩირის რაიონში. ასეთივე მდგომარეობაა გაგრის რაიონსა და ქ. ტყვარჩელში.

როგორც თათბირზე გამოირკვა, ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო მასალებსაც არ გზავნის თავის დროზე ფიზკულტურის საოლქო კომიტეტში და თვალთმაქცურად სურს თავიდან აიცდინოს პასუხისმგებლობა. მაგალითად, გაგრის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მალახოვმა ფიზკულტურის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობა, თითქოს საჭირო ცნობები თავის დროზე გადაუგზავნა მას. მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, მალახოვმა იცრუა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ქვარცხავამ, გალის პარტრაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ეზუხბაიამ და სხვებმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ტუსკაძემ.

განხილული საკითხის გარშემო თათბირმა მიიღო სათანადო დადგენილება.

# თასი სტუდენტებმა მოიგეს



★

დამთავრდა თბილისის თასის გათამაშება ფრენბურთში. მონაწილეობდა 11 ვაჟთა და 8 ქალთა გუნდი. ვაჟთა შორის საპატიო ჯილდო — ვერცხლის თასი—მოიგო რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის („ლოკომოტივი") გუნდმა, ქალთა შორის—„მეცნიერების" კოლექტივმა. **სურათზე:** „ლოკომოტივისა" და „დინამოს" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. ტარხოვისა

★

# სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს პირველი სესია

## ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

ჩატარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს პირველი სესია.

სესია მიეძღვნა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში 1949 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს.

სესიამ მოისმინა ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ბ. ჩიკვაიძის და საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ამხ. ა. რატიას მოხსენებები 1949 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 1950 წლის ამოცანების შესახებ.

როგორც სესიაზე გამოირკვა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა 1948 წელთან შედარებით თუმცა რამდენიმედ გაუმჯობესდა, მაგრამ იგი მაინც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. დაგეგმილი 33 თემიდან შესრულებულია მხოლოდ 28, გარდა ამისა ყველა თემა არ იყო აქტუალური და მაღალხარისხოვნად დამუშავებული.

შემდეგ მოსმენილ იქნა სამეცნიერო მოხსენებები.

დოცენტ ა. რობაქიძის მოხსენება მიეძღვნა უძველესი ქართული სპორტული თამაშის „ცხენბურთის" ისტორიულ მიმოხილვასა და მისი აღდგენის ცდას. მთელი რიგი ისტორიული წყაროები ასაბუთებენ, რომ „ცხენბურთი" წარმოადგენს მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი, ორიგინალური თამაშის ფორმას, რასაც ამართლებს მისი თანამედროვე სახელწოდება და ის პოპულარობა, რაც მან მეტად მოკლე დროში მოიპოვა რესპუბლიკის მხედართა შორის.

ამხ. ნ. სალუქვაძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა ქართულ ხალხურ საცეკვაო მოძრაობებს ძირითადი ტანვარჯიშის გაკვეთილში.

სესიამ მოისმინა დოცენტ ლ. მარუაშვილის ცნობა ძნელად ასასვლელ მწვერვალთა და უღელტეხილთა ახალი, ორიგინალური სპორტული კლასიფიკაციის შესახებ.

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ამხ. თ. მაჩაბელის ცნობამ ბირთვის კვრის ეფექტურობის შესახებ წვრთნაში სუსტი ხელის მაქსიმალურად ჩართვის დროს.

დოცენტ ლ. ჩხაიძისა და მწვრთნელ ო. ქორჩანიას მოხსენება „თამაშობითი მეთოდის გამოყენება ახალგაზრდა ფეხბურთელის სწავლებისა და წვრთნის პროცესში თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლაში" ეხება სპეციალურ მოძრავ თამაშობათა გამოყენების პრინციპულ საკითხებს ახალგაზრდა ფეხბურთელის წვრთნაში.

დასასრულ მოსმენილ იქნა დოცენტ ვ. კუნჭულიას მოხსენება „ფიზიკური განვითარების დინამიკა ფეხბურთში სისტემატური წვრთნის გავლენით".

კამათში გამოსულმა პროფესორებმა ვ. ასათიანმა და ს. ნარიკაშვილმა, მეცნიერების მუშაკებმა ვ. კუზოვლევმა, გ. მაისურაძემ, ვ. იაკოვლევმა (სსრ კავშირის ფიზიკური კულტურის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) და სხვებმა აღნიშნეს მოსმენილ მოხსენებათა დადებითი მხარეები და მიუთითეს მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნან შემდგომ მუშაობაში.

დოც. ლ. ჩხაიძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# მეომართა სპარტაკიადა

## სამხედრო ოლქის 16 ახალი რეკორდი

დამთავრდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის XXV საიუბილეო სპარტაკიადა. სპორტულად საინტერესო ბრძოლები აღინიშნა მთელი რიგი რეკორდებითა და ახალი მიღწევებით.

100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა კუჩერენკომ, მისი შედეგია 11 წამი.

შუბის ტყორცნაში ერთმანეთს 24 სპორტსმენი ეჯიბრებოდა. გასული წლის ჩემპიონმა ეფრეიტორმა ი. სოტნიკოვმა შუბი ტყორცნა 69,15 მეტრზე და გააუმჯობესა ოლქის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ქალთა შორის კ. აროვამ დაამყარა ახალი რეკორდი — 33,56 მეტრი.

ცურვაში 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით პირველი ადგილი დაიკავა სლესარევმა. მან გააუმჯობესა გასული წლის რეკორდები. 100 მეტრზე გვერდით ცურვაში საუკეთესო დრო აჩვენა ოლქის გასული წლის ჩემპიონმა ჟუკოვმა. ეს დისტანცია ზურგით პირველმა გაცურა კრასოვსკიმ. ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით 1 წუთსა და 27 წამში გაცურა ტ. კარადიანმა და გაიმეორა გასული წლის რეკორდი. ი. სამოილოვამ დაამყარა ოლქის ახალი რეკორდი ამ დისტანციაზე ბრასის სტილით ცურვაში. მისი დროა 1:46,3.

ი. სოტნიკოვმა დაამყარა ახალი რეკორდი ყუმბარის ტყორცნაში — 75,02 მეტრი.

20 კილომეტრი სპორტული სიარულით ვ. ოკუნიაკმა გაიარა 2 საათსა და 13,5 წამში და დაამყარა ახალი რეკორდი.

ჯარისკაცმა დავთიანმა დაამყარა ახალი რეკორდი ეროს ტყორცნაში,



მისი შედეგია 35,56 მეტრი. მანვე გაიმარჯვა ბირთვის კვრაში.

მოფარიკავეთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს ხიმტსა და დაშნაში ადაროვმა, რაპირაში კაპიტანმა ერისთავმა.

სულ სპარტაკიადაზე დამყარებული იქნა ოლქის 16 ახალი რეკორდი.

**სურათზე:** სპარტაკიადის მონაწილე, სპორტის ოსტატი ვ. ჯაიანი ასრულებს ლერძიდან ჩამოხტომს.

ფოტო კ. ყირმელაშვილისა

# გუნდური ჩათვლა პიონერთა შეჯიბრებებში

გაიხსნა პიონერთა ბანაკები, რომელთა ცხოვრებაში სპორტს დიდი ადგილი უკავია. საბანაკო შეკრების დროს ბავშვები არაერთხელ ცდიან თავიანთ ძალას რბენაში, ტყორცნაში, ხტომებში, სპორტულ თამაშობებში. დიდი პოპულარობით სარგებლობს შეჯიბრებები რაზმებს, ბანაკებს შორის. მაგრამ ასეთ შეჯიბრებებში ხშირად ძნელი გამოსარკვევია გუნდურ პირველობაში გამარჯვებულნი.

ამის მიზეზი მრავალია. აქ მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ასაკობრივ შემადგენლობას, აგრეთვე იმასაც, რომ შეჯიბრებები ტარდება ვაჟებისა და გოგონების რაზმებს შორის.

ბანაკებში ჩემი მუშაობის დროს შედეგების შეჯამებისას ამ მძიმე მდგომარეობიდან რომ გამოვსულიყავი, ვისარგებლე კოეფიციენტის ცხრილით. იგი ასე გამოიყურება:

| | ვაჟები 14—15 წლისა | გოგონები 14—15 წლისა | ვაჟები 11—13 წლისა | გოგონები 11—13 წლისა |
|---|---|---|---|---|
| რბენა 60 მეტრზე და ამანათრბენი 4×60 | 1,0 | 0,95 | 09 | 085, |
| სიგრძეზე ხტომა | 1,0 | 1,08 | 1,13 | 1,3 |
| სიმაღლეზე ხტომა | 1,0 | 1,1 | 1,15 | 1,3 |
| ყუმბარის ტყორცნა | 1,0 | 1,3 | 1,2 | 2,0 |

ცხრილით შემდეგნაირად სარგებლობენ. შეჯიბრებაში ყველა გუნდის მონაწილეთა ჩასათვლელი რიცხვიდან იღებენ საშუალო შედეგს. საუკეთესო გუნდის შედეგი მიღებულია ერთეულად, ხოლო დანარჩენებისათვის კოეფიციენტი ან მცირდება ან დიდდება, რაც დამოკიდებულია შეჯიბრებების სახეზე.

რბენაში იგი უნდა იყოს ერთზე ნაკლები, ხტომებსა და ტყორცნებში —ერთზე მეტი. მაგალითად, 60 მეტრზე რბენაში 14-15 წლის ვაჟებს საშუალო შედეგი ჰქონდათ 8,3 წამი. გავამრავლოთ ეს ერთზე და მივიღებთ 8,3 წამს. 14-15 წლის გოგონებს ჰქონდათ 8,6. გავამრავლოთ ეს კოეფიციენტი 0,95 და მივიღებთ 8,27. 11-13 წლის ვაჟებს ჰქონდათ 9,2 წამი. 9,2 ვამრავლებთ 0,9 და ვღებულობთ 8,28. საშუალო შედეგი 11-13 წლის გოგონებს ჰქონდათ 9,8 წამი. 9,8 ვამრავლებთ 0,85 კოეფიციენტზე და ვღებულობთ 8,33. ამრიგად გამოდის, რომ საუკეთესო გუნდური შედეგი უჩვენეს 14-15 წლის გოგონებმა.

შეჯიბრებათა საბოლოო შედეგების გამოანგარიშება წარმოებს გუნდების მიერ მძლეოსნობის ცალკეულ სახეში დაკავებული ადგილების მიხედვით.

ვ. კუკოვკინი,
მძლეოსნობის მასწავლებელი
„სოვეტსკი სპორტ".

# გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

## „საფეხბურთო მოედანი გადახნეს"

ამას წინათ გაზეთ „ლელოს" რედაქციაში შემოვიდა წერილი სათაურით „საფეხბურთო მოედანი გადახნეს", რომლის ავტორი ამხ. რ. ჩხეიძე გვაცნობებდა ქ. ჭიათურის მე-5 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის საფეხბურთო მოედნის სახანე ფართობად გამოყენების შესახებ.

წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ფიზკულტურის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს. როგორც აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შ. ტატიშვილი იტყობინება, წერილი განიხილა მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. მასში აღნიშნული ფაქტები სავსებით დადასტურდა. მე-5 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დირექტორს ამხ. დარსაველიძეს საფეხბურთო მოედნის გადახვნისათვის გამოეცხადა საყვედური. ამხ. დარსაველიძეს დაევალა პირველ ივლისამდე აღადგინოს ფეხბურთის მოედანი და მოსწავლეთა ახალი ნაკადის მიღებამდე უზრუნველჰყოს მისი წესრიგში მოყვანა.

# კრივი

## მწვრთნელის ზოგიერთი მითითება

კრივს, როგორც სპორტის ერთ-ერთ საინტერესო სახეს, ჩვენში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ახალგაზრდობას უვითარებს ყველა იმ თვისებას, რომლებიც საჭიროა შრომისა და ჩვენი სამშობლოს დაცვისათვის.

საქართველოში კრივის განვითარება საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. შემთხვევითი როდია ის მიღწევები, რომლებიც რესპუბლიკის მოკრივეებმა მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში. საქართველოში და კერძოდ მის რაიონებში კრივის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა მწვრთნელის საქმიანობას დამწყებ მოკრივეებთან, რომელნიც სამწუხაროდ, მოკლებულნი არიან მეთოდური სახის სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზე.

ამ ხარვეზის შესავსებად საჭიროდ ვცანით ჩვენი გაზეთის საშუალებით რაიონებში მომუშავე კრივის სექციების ხელმძღვანელებს ზოგიერთი მეთოდური სახის მითითება მივცეთ.

მწვრთნელის პედაგოგიური მუშაობის უკეთესი ორგანიზაციისათვის, მოკრივის სწავლებისა და აღზრდის ამოცანის მეტი ეფექტურობით გადაჭრისათვის მიღწეული უნდა იქნეს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება.

კრივის სექციის მუშაობაში ძირითადად იხმარება შემდეგი სახის ორგანიზაციული ფორმები: ა) სასწავლო მეცადინეობა, ბ) სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა, გ) საწვრთნელი მეცადინეობა.

სასწავლო მეცადინეობა მიზნად ისახავს სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობას. მეცადინეობის ეს სახე გამოიყენება უმთავრესად დამწყები მოკრივის მზადების დროს, თუმცა იგი გამოცდილ მოკრივეებთანაც უნდა სწარმოებდეს (ტექნიკისა და ტაქტიკის გამდიდრებისა და განმტკიცების მიზნით).

სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა მიზნად ისახავს სპორტსმენის ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის ახალი ხერხებით გამდიდრებასა და ძველის სრულყოფას.

საწვრთნელი მეცადინეობა მიმართულია მხოლოდ მოკრივის ფსიქოფიზიკური თვისებების სრულყოფისა და განმტკიცებისაკენ, ტექნიკური ჩვევების გამდიდრებისა და ბრძოლაში მათი ტაქტიკური გამოყენებისაკენ.

მოკრივეთა საწვრთნელმა შეჯიბრებებმა გვიჩვენა, რომ სპორტსმენის საბრძოლო იერისა და ინდივიდუალური თვისებების გარდაქმნა მოკლე დროის განმავლობაში არავითარ ეფექტს არ იძლევა, ხშირად დეზორგანიზაციასაც კი ახდენს მასზე. აი, რატომ უნდა იყვეს მწვრთნელის ყურადღება მოკრივის მხოლოდ საბრძოლო საშუალებათა სრულყოფისაკენ მიმართული.

დილის ვარჯიში—გასეირნება წარმოადგენს დაჭურვის ერთ-ერთ სახეს. იგი კარგად მოქმედებს მოკრივის ფიზიკურ მდგომარეობაზე, ამაგრებს მის ფილტვებს და მთელი დღის მანძილზე ძალასა და სიმხნევეს ჰმატებს. საწვრთნელი მუშაობის პერიოდში დილის გასეირნება ყოველდღე უნდა სწარმოებდეს (2-3 კილომეტრი).

ყოველი შეჯიბრების წინ სპეციალური მომზადების ჩატარებაა საჭირო და იგი 20-30 დღე უნდა გრძელდებოდეს.

საწვრთნელი მუშაობა სწარმოებს ზუსტად გააზრებული გეგმით. სპორტსმენის დღის რეჟიმი შეჯიბრებისათვის მზადების პერიოდში უნდა შედგეს მოკრივის პროფესიულ თავისებურებებისა და მისი ყოფაცხოვრების პირობების გათვალისწინებით. წვრთნის პერიოდში მოკრივის ჩვეულებრივი ცხოვრება არ უნდა აცდეს სწორ ჩარჩოებს. მაგალითად, სპორტსმენს უნდა ეძინოს არანაკლებ 8 საათი.

შეჯიბრება სექციის მუშაობის განუყოფელი ნაწილია. იგი მოვარჯიშეთა მუშაობაში სტიმულს იძლევა და აღვივებს ინტერესს სპორტისადმი. სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა მიმართული უნდა იყოს კრივის სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავებისა და დაოსტატებისაკენ.

მწვრთნელი სასწავლო-საწვრთნელი საქმიანობის წლიური გეგმის შედგენისას უნდა ეყრდნობოდეს მოკრივეთა თანრიგის ამაღლებას, მშთ ნორმების ჩაბარებას, ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას. სექციის მუშაობის დროს დიდი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი სხვადასხვა ხასიათის ლექციების ჩატარებას. ამგვარ საუბრებში უნდა შუქდებოდეს მოკრივის ტაქტიკისა და ტექნიკის, საბჭოთა კავშირის კრივის ისტორიის გარშემო წამოჭრილი საკითხები, სპორტსმენის ჰიგიენა, რეჟიმი, თვითკონტროლი და სხვ.

აღნიშნული სპეციალური ლექციებისა და საუბრების გარდა უნდა იკითხებოდეს ლექციები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, საერთაშორისო საკითხების, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ცხოვრებისა და სხვა თემებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ სექციის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასა და მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას.

ა. გოლდშტეინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ლ. ლუდუშაური,
სპორტის ოსტატი.

(გაგრძელება იქნება)

# თბილისელ ჩოგბურთელთა გამარჯვება

თბილისის, სოხუმისა და ქუთაისის ქალთა და ვაჟთა გუნდები ხუთი დღის განმავლობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს სსრ თასს ჩოგბურთში.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ თასი მოიპოვეს თბილისელმა ჩოგბურთელებმა.

ამ დღეებში თბილისელი ჩოგბურთელები საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში ბაქოში შეხვდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის თასის მფლობელებს — ბაქოსა და ერევნის ჩოგბურთელებს. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თბილისელმა ჩოგბურთელებმა, რომელთაც დაამარცხეს ორივე მოწინაალმდეგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში დროდადრო იმართება მოსწავლეთა სპორტული გამოსვლები. სურათზე: ქალაქის მოსწავლე გოგონები ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშს.

## მკითხველთა სიგნალები

### სტადიონი მზად არ არის შეჯიბრებისათვის

საქართველოს სსრ 1950 წლის სპორტული კალენდარით მძლეოსნობაში რესპუბლიკის ქალაქების დაუსწრებელი მატჩის პირველი ტურის ჩატარება გათვალისწინებულია თელავის სტადიონზეც, მაგრამ შეჯიბრებებისათვის სტადიონი მზად არ არის. ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტს უკანასკნელი წლების მანძილზე არ ჩაუტარებია მწვანე მოედნისა და მძლეოსნური სექტორების რემონტი.

ამის შედეგად სარბენი ბილიკები ქვა-ღორღითაა დაფარული, მოედანი უსწორმასწოროა და მძლეოსნური სექტორების კვალი აღარც კი ჩანს.

საჭიროა ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა დროულად მიიღოს ზომები სტადიონის სრულ წესრიგში მოყვანისათვის.

**გ. მირიმანიშვილი**

თელავი

### მეტი ყურადღება საექიმო დახმარებას

ამას წინათ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში ქალაქის პირველობაზე.

შეჯიბრებისას ერთ-ერთ მოჭიდავეს ამოუვარდა მხარი. ამ დროს აუცილებელი იყო საექიმო დახმარება, მაგრამ ტურნირის მომწყობთ ექიმის მოწვევაზე არც კი უფიქრიათ. დაზარალებულს საჭირო დახმარება აღმოუჩინა მაყურებელთა შორის შემთხვევით მყოფმა ერთმა ექიმმა. მეორე მოჭიდავეს ცხვირიდან სისხლი წასკდა და პატარა ბამბის ნაჭერიც კი ვერ იშოვეს, რათა სპორტსმენისათვის სისხლისდენა შეეწყვიტათ (ამ მოჭიდავემ შემდგომ გამოსვლაზე უარი განაცხადა).

აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრებაზე არ იყო ჩოხების საკმაო რაოდენობა. ასპარეზობა ჩატარდა ღია ცის ქვეშ. საკმაოდ ციოდა, სპორტსმენები კი ტანზე გახდილნი ელოდნენ თავიანთ გამოსვლას.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები რათა მსგავსი შემთხვევები არ განმეორდეს.

**ექიმი გ. მესხი.**

# კიდევ 180 ფიზკულტურის მასწავლებელი

### მიღება ლ. პ. ბერიას სახელობის ტექნიკუმში

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ლ. პ. ბერიას სახელს ატარებს მისივე ინიციატივით შექმნილი ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული სასწავლებელი—საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი.

თავისი არსებობის 17 წლის მანძილზე ტექნიკუმი დაამთავრა და საშუალო ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტი გახდა 650-ზე მეტი ახალგაზრდა. აქ სწავლობდნენ და სწავლობენ აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც. მათ ასწავლიან და წვრთნიან დახელოვნებული მასწავლებლები, რომელთა შორის აღსანიშნავია დამსახურებული მასწავლებელი ე. რაზმაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. მეიფარიანი, ლ. ძეკონსკი, გ. ვართანოვი, მ. კასიანიკი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. როიტბაკი, სპორტის ოსტატები ა. თევოსიანი, ს. ბალიაშვილი, ვ. ჯაიანი და მრავალი სხვა.

ფიზკულტურის ტექნიკუმი საშუალო სპეციალური სასწავლებელია. კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ იმუშაონ ფიზკულტურის მასწავლებლად საშუალო სასწავლებლებში, ხოლო სურვილისამებრ შეუძლიათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში. მოსწავლეები ზოგადი განათლების შეძენასთან ერთად ეუფლებიან სპორტის ერთ-ერთ სახეობას: ტანვარჯიშს, მძლეოსნობასა და სპორტულ თამაშობებს (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი).

ტექნიკუმში აღიზარდნენ სახელმოხვეჭილი სპორტის ოსტატები დ. ციმაკურიძე, ვ. ილურიძე, მოფარიკავე აბრამოვი, კალათბურთელი ბ. სარქისოვი, ტანმოვარჯიშენი თ. კობისნიძე, სტაფანოვა, ვ. ასათიანი და სხვ. ხოლო ამჟამად აქ სწავლობენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები მოკრივე გ. ხანუკაშვილი, შტანგისტი რ. ჩიმიშკიანი და სხვ.

ამჟამად ფიზკულტურის ტექნიკუმი ემზადება ახალი კონტინგენტის (180 კაცის) მისაღებად. უკვე გამოცემულია ბროშურა „მიღების წესები და მისაღები გამოცდების პროგრამა". როგორც თბილისში, ისევე ადგილებზე ახალგაზრდობას შორის გაშლილია ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. 15 მაისიდან დაიწყო ტექნიკუმში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არის ცნობილი ქართველი მოჭიდავის ს. კანდელაკის შვილი—ე. კანდელაკი, რომელსაც შესანიშნავი სპორტული მონაცემები აქვს.

— აღვზარდოთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელიც შეძლებს სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან!—ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში თავისი წვლილი შეაქვს ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმსაც.

**ე. ზარიძე**

### სსრ კავშირის XII ჩემპიონატი

## გათამაშების ცხრილი

### „ა" კლასი

#### ძირითადი შემადგენლობები

მდგომარეობა 30 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 17 | 10 | 3 | 4 | 36:19 | 23 |
| „ზენიტი" | 16 | 10 | 2 | 4 | 37:21 | 22 |
| ცდკა | 14 | 7 | 6 | 1 | 22:10 | 20 |
| „სპარტაკი" მ. | 16 | 7 | 6 | 3 | 32:15 | 20 |
| „კრ. სოვეტოვ" | 15 | 8 | 4 | 3 | 13:14 | 20 |
| „ლოკომოტ." მ. | 16 | 7 | 5 | 4 | 25:27 | 19 |
| „დინამო" მ. | 16 | 7 | 3 | 6 | 26:16 | 17 |
| „დინამო" ერ. | 16 | 6 | 5 | 5 | 25:23 | 17 |
| „დინამო" ლ. | 15 | 6 | 4 | 5 | 19:16 | 16 |
| ვვს | 14 | 7 | 1 | 6 | 27:21 | 15 |
| „დაუგავა" | 16 | 5 | 4 | 7 | 16:18 | 14 |
| „სპარტაკი" თბ. | 16 | 6 | 2 | 8 | 15:22 | 14 |
| „ტორპედო" მ. | 16 | 5 | 4 | 7 | 15:25 | 14 |
| „დინამო" კ. | 15 | 4 | 5 | 6 | 15:17 | 13 |
| „შახტიორი" | 16 | 4 | 4 | 8 | 19:23 | 12 |
| „ტორპედო" სტ. | 16 | 4 | 4 | 8 | 15:32 | 12 |
| „ლოკომოტ". ხ. | 16 | 5 | 1 | 10 | 12:22 | 11 |
| „დინამო" მნ. | 17 | 4 | 2 | 11 | 24:37 | 10 |
| „ნეფტიანიკი" | 15 | 3 | 3 | 9 | 11:26 | 9 |

### ფრე ლენინგრადში

27 ივნისს თბილისის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ლენინგრადში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს". 90-წუთიანი დაძაბული ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. ამრიგად, თბილისის სპარტაკელებმა 16 თამაშში მოაგროვეს 14 ქულა და გათამაშების ცხრილში მე-12 ადგილი უკავიათ.

მორიგ მატჩს თბილისის „სპარტაკი" ჩაატარებს 1 ივლისს მოსკოვში ცდკა-ს ფეხბურთელებთან.

### მატჩები ივლისში

1. ცდკა — „სპარტაკი" (თბ.). 2. „დინამო" (მ) — „სპარტაკი" (მ). 3. „ლოკომოტივი" (მ) — „ტორპედო" (მ), „დინამო" (ლ) „დინამო" (თბ.). 4. „შახტიორი" — „კრილია სოვეტოვ", ცდკა — „ნეფტიანიკი", ვვს — „ზენიტი", „დინამო" (კ) — „ტორპედო" (სტ). 5. „დაუგავა"— სპარტაკი" (თბ.). 7. ვვს — „დინამო" (მნ). „ლოკომოტივი" (მ) — „სპარტაკი" (მ). 8. „დინამო" (ლ) „ნეფტიანიკი", ცდკა — „დინამო" (ერ ). 9. „კრილია სოვეტოვ" — „ლოკომოტივი" (ხ), „ზენიტი" — დინამო" (კ). 11. „დინამო" (მ) — ვვს, 12. ცდკა — „შახტიორი".

## ფეხბურთის მოედნებზე

### ლიდერი კარგავს ქულებს

#### ცდკა — „დინამო" (თბილისი)

ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სტადიონი გაივსო ათიათასობით მაყურებლით. ორივე გუნდმა გამოამჟღავნა შესანიშნავი ტექნიკა და კარგი ფიზიკური მომზადება.

შეხვედრა თბილისელთა იერიშებით დაიწყო. მოიგერიეს რა სტუმართა პირველი იერიშები, არმიელი ფეხბურთელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მალე კოვერზნევმა გახსნა ანგარიში. შესვენებამდე 10 წუთით ადრე თბილისელმა ლოლობერიძემ საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ეს ანგარიში მალე შეიცვალა. ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე მოსკოველებმა ისარგებლეს „დინამოს" დაცვის შეცდომით და მეორე ბურთი გაიტანეს.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელები ძლიერ ცდილობდნენ ანგარიშის შეცვლას, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. მოსკოველმა ფეხბურთელებმა თბილისელთა კარში გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით—3:1.

ოსტატურად ჩაატარა შეხვედრა თბილისელთა მეკარემ მარღანიამ, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო.

მიუხედავად დამარცხებისა თბილისის დინამოელები ინარჩუნებენ ლიდერობას. მათ 17 თამაშის შემდეგ მოგროვილი აქვთ 23 ქულა.

### სსრ კავშირის თასზე

თბილისში დაიწყო მზადება „სსრ კავშირის თასის" გათამაშებისათვის ფეხბურთში. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა დაამტკიცა ქალაქში თასის გათამაშების წესი. ლენინისა და კიროვის რაიონებში უკვე დაიწყო შიდასარაიონო შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობენ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები.

„სსრ კავშირის თასის" გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის 100 გუნდი.

## საქართველოს პირველობა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ივნისისათვის

#### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტტს თბილისი | 7 | 6 | 0 | 1 | 17:6 | 12 |
| ოფიცერთა სახლი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:5 | 11 |
| „დინამო" ქუთაისი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:7 | 11 |
| „ტორპედო" ქუთ. | 8 | 4 | 2 | 2 | 13:7 | 10 |
| 26 კომ. რაიონი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:9 | 10 |
| „დინამო" სოხუმი | 8 | 5 | 0 | 3 | 15:9 | 10 |
| „დინამო" გორი | 9 | 3 | 1 | 5 | 8:13 | 7 |
| „დინამო" ბათუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:14 | 6 |
| „დინამო" ფოთი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:15 | 6 |
| „ლოკომოტ." ხაშ. | 8 | 2 | 0 | 6 | 7:18 | 4 |
| „დინ." სტალინირი | 8 | 0 | 1 | 7 | 4:23 | 1 |

#### II ჯგუფი

##### „ა" ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შრ. რეზ." ბორჯ. | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| „მეტალურგი" რუსთ. | 5 | 3 | 1 | 1 | 6:10 | 7 |
| „სპარტაკი" ცხაკაია | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 6 |
| „ბურევესტ." ბათ. | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 6 |
| „დინამო" გუდაუთი | 4 | 1 | 2 | 1 | 11:5 | 4 |
| „დინამო" გაგრა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 4 |
| ავტ. სარ. ქარხ. თბ. | 5 | 0 | 2 | 3 | 7:13 | 2 |
| „ლოკ". სამტრედია | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 2 |

##### „ბ" ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" ზუგდიდი | 5 | 4 | 0 | 1 | 6:7 | 8 |
| ნაკრები—მახარაძე | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 7 |
| „დინამო" თელავი | 5 | 3 | 1 | 1 | 16:10 | 7 |
| „მეტალურგი" ზესტ. | 4 | 2 | 2 | 0 | 9:6 | 6 |
| ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა—თბ. | 5 | 1 | 2 | 2 | 11:12 | 4 |
| ნაკრები—წით. წყ. | 5 | 0 | 2 | 3 | 12:17 | 2 |
| „დინამო" ოჩამჩირე | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 2 |
| ნაკრები—ახ. ქალაქი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 2 |

### ოთხი მატჩი

მე-9 ტურში სოხუმის „დინამომ" თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „ტორპედო". მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. მეორე ტაიმში ინიციატივა სოხუმელთა ხელში იყო. მათ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 3 ბურთი, თავის კარში კი არც ერთი არ მიუღიათ.

ფოთში ადგილობრივი „დინამო" შეხვდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ხაშურის „ლოკომოტივს" და სტალინირის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა ხაშურელთა გამარჯვებით ანგარიშით — 3:0. ქუთაისის „დინამომ" დაამარცხა 2:0 გორის „დინამო".

# ავამაღლოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა გუნდებში

#### თათბირი ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

უკანასკნელ წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად ამაღლდა ფეხბურთის კლასი. რაც დრო გადის, მით ახალგაზრდობა უფრო მეტად ეწაფება სპორტის ამ საინტერესო სახეს. რესპუბლიკაში ამჟამად არის 2.700-ზე მეტი ფეხბურთელთა გუნდი. მათგან 61 საუკეთესო წელს მონაწილეობს საქართველოს სსრ პირველობის გათამაშებაში, რომელიც სამ ჯგუფად ტარდება. უკვე ჩატარებულია მატჩების თითქმის ნახევარი, მაგრამ პირველობას ჯერ კიდევ თან სდევს მთელი რიგი ნაკლოვანებები.

ამ დღეებში ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურ კომიტეტში შედგა საქართველოს ფეხბურთის გუნდების მწვრთნელებისა და წარმომადგენლების თათბირი. რესპუბლიკის ჩემპიონატის მიმდინარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში ამხ. დ. ცომაია.

ჩატარებულმა შეხვედრებმა დაგვანახა, რომ ზოგიერთ გუნდში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევას. მაგალითად თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის და ქ. ცხაკაიას გუნდების (მეორე ჯგუფი) შეხვედრის დროს, როდესაც თამაშის დამთავრებას აკლდა 7 წუთი და ანგარიში იყო 6:2 ცხაკაიას გუნდის სასარგებლოდ, მსაჯთან შელაპარაკებისათვის ქარხნის ფეხბურთელები მუხოიანი და გალუსტიანი გაძევებულ იქნენ მინდვრიდან. ამის შემდეგ ამავე გუნდის წევრებმა ფუტკარაძემ და ხაჩირაშვილმა თვითნებურად დატოვეს სტადიონი, გუნდის მწვრთნელმა ტიბილოვმა კი არავითარი ზომები არ მიიღო.

ბოგდანოვკაში ადგილობრივმა გუნდმა ვერ უზრუნველყო წალკიდან ჩამოსული ფეხბურთელები ბინით. აქ 15 კაცს მიეცა მხოლოდ... 5 საწოლი! ცხადია, ასეთი „ღამის თევის" შემდეგ გუნდმა ვერ ითამაშა მთელი ენერგიით. ანალოგიური შემთხვევა მოხდა საჩხერეშიც.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მსაჯები დაგვიანებით იწყებენ მატჩს. მაგალითად, მსაჯმა მაღალაშვილმა ხობში თამაში დაიწყო 10 წუთით გვიან, შმაკოვსკიმ ცხაკაიაში — 20 წუთით გვიან.

თათბირზე აღინიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფეხბურთის მატჩების ჩატარებას ნორმალურ პირობებში. იყო, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: ტყიბულში ადგილობრივმა გუნდმა ანგარიშით 2:1 წააგო წულუკიძის ფეხბურთელებთან. როდესაც გამარჯვებული გუნდი მინდვრიდან გადიოდა, ზოგიერთმა მაყურებელმა კენჭები დაუშინა მას, მსაჯს სომხიშვილს კი შეურაცყოფა მიაყენეს. წესრიგის დარღვევის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე რუსთავის, სტალინირისა და გორის გუნდების მხრივაც.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის წარმომადგენელმა ი. ლობჟანიძემ მკაცრად გააკრიტიკა თბილისის „დინამოს" სტადიონის დირექცია. საწვრთნელი მოედანი, სადაც მიმდინარეობს მატჩები, დაუხაზავია, იგი არ ირწყვება, რაც ძლიერ უშლის ხელს თამაშს. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საკავშირო კატეგორიის მსაჯმა კრავჩენკომ, მსაჯმა ტრეტიაკოვმა, ხოდელმა (გორი), გვაზავამ (თელავი), ბუხნიკაშვილმა (ზესტაფონი), ჩიქობავამ (ცხაკაია) და სხვ.

თათბირის მონაწილეებმა დასვეს საკითხი კომიტეტის წინაშე, რათა ავტოსარემონტო ქარხნის გუნდის წევრებს მუხოიანს და გალუსტიანს გამოეცხადოთ საყვედური, ფუტკარაძე და ხაჩირაშვილი დისკვალიფიცირებული იქნენ ერთი თამაშით, გუნდის კაპიტანს აივაზოვს გამოეცხადოს საყვედური, ხოლო მწვრთნელს ტიბილოვს—სასტიკი საყვედური გაფრთხილებით. თათბირის მონაწილეთა მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიება, მიმართული ფეხბურთის გუნდებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად.

## მოკლე ცნობები

დამთავრდა სამხრეთ ოსეთის პირველობა ფრენბურთში. მონაწილეობდა 14 გუნდი.

ოლქის ჩემპიონის სახელი ვაჟთა გუნდებს შორის მოიპოვა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა, ქალთა შორის გაიმარჯვეს ლენინგორის რაიონის ფრენბურთელებმა.

* * *

ქ. ქუთაისის მოსწავლეთა მე-3 საზაფხულო სპარტაკიადაზე ხუთი დღის განმავლობაში 1.000 მოსწავლე ერთმანეთს ეცილებოდა პირველობას სპორტის ექვს სახეში.

მძლეოსნობაში, ცურვასა და ჩოგბურთში გაიმარჯვეს ვაჟთა მე-9 და ქალთა მე-10 სკოლის გუნდებმა, კალათბურთში ყველას აჯობეს ვაჟთა პირველი და ქალთა მე-10 სკოლის კოლექტივებმა. ვაჟთა მე-9 და ქალთა პირველი სკოლის გუნდები გამარჯვებულები გამოვიდნენ ჭადრაკსა და ტანვარჯიშში.

* * *

ჩატარდა აჭარის ასს რესპუბლიკის პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა შორის. ბათუმის „დინამოს" ქალთა გუნდმა დაუმარცხებლად ჩაატარა ტურნირი და აჭარის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა.

* * *

დამთავრდა „ზარია ვოსტოკას" სტამბის მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა 14 კაცი. შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდა. პირველი ადგილი 21½ ქულით დაიკავა კომკავშირელმა გ. პეტროსიანმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ლომიძე (20 ქულა).

## თბილისელ მძლეოსანთა საუკეთესო შედეგები

გასულ კვირას თბილისის ლ. ბ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა უკრაინისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი დღესასწაული. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის მოწინავე სპორტსმენებმა — ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა, მოჭიდავეებმა, მოკრივეებმა და სხვ.

მსოფლიო რეკორდსმენმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ ბადრო სტყორცნა 49,91 მეტრზე, რაც სეზონის ყველაზე კარგი შედეგია. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა 80 მეტრი თარჯებით გაირბინა 11,5 წამში, ხოლო პირველთანრიგოსანმა მ. ქოჩლაძემ—11,8 წამში. სპორტის ოსტატმა ლ. სანაძემ 100 მეტრი გაირბინა 10,5 წამში, 200 მ. — 21,7 წამში და გაიმეორა საქართველოს რეკორდები



ამ დისტანციებზე. სპორტის ოსტატმა ნ. ხნიკინამ 100 მეტრი გაირბინა 12,3 წამში.

ამ დღეებში დინამოელმა გ. ფედოროვმა დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი ვაჟთათვის ბირთვის კვრაში (15,07 მეტრი), ხოლო დინამოელმა გ. ბრიტვინამ—შუბის ტყორცნაში (44,32 მეტრი). თბილისელმა მოსწავლე მ. კეგეშიძემ, რომელმაც ბირთვი ჰკრა 17,56 მეტრზე, დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ჭაბუკებისათვის.

* * *

**სურათზე:** „დინამოს" სტადიონზე. სპორტის ოსტატი თ. ქოიავა ძელზე ვარჯიშობის დროს.

ფოტო კ. ყირმელაშვილისა



★

თბილისის ველოტრეკზე დიდი გამოცოცხლებაა. ათობით ახალგაზრდა აქ მოწინავე სპორტსმენების ხელმძღვანელობით სისტემატურად გადის საწვრთნელ მეცადინეობას. დიდი ინტერესით ტარდება საქართველოს გამოჩენილ ველოსიპედისტთა შეჯიბრებებიც.

**სურათზე:** სპრინტერთა მარულა.

ფოტო გ. ყუფარაძისა

★

## საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ახალი სათანრიგო მოთხოვნები საავტომობილო სპორტში

### მარულა გზატკეცილზე

**სპორტის ოსტატი.** წოდება ენიჭება სსრ კავშირის პირველობაზე გამარჯვებულთ ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 50 კილომეტრსა და მეტ მანძილზე შეჯიბრებისას, **ან** სპორტსმენებს, რომლებმაც უჩვენეს შედეგები, რაც სჭარბობს სსრ კავშირის რეკორდს ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 50 კილომეტრსა და მეტ მანძილზე, **ან** სპორტსმენებს რომლებმაც უჩვენეს შედეგები, რაც სჭარბობს სსრ კავშირის რეკორდებს ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 1 ან 5 კილომეტრზე სვლით, ან ადგილიდან (რეკორდების გადაჭარბება ორივე შემთხვევაში —სვლით და ადგილიდან — სავალდებულოა).

**პირველი თანრიგი** ენიჭება სსრ კავშირის პირველობის მონაწილეებს, რომელთა შედეგები არაუმეტეს 10 პროცენტით ჩამორჩება ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 50 კილომეტრსა და მეტ მანძილზე გამარჯვებულთ, **ან** სპორტსმენებს, რომელთა შედეგები არაუმეტეს 10 პროცენტით ჩამორჩება ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 50 კილომეტრსა და მეტ მანძილზე გამარჯვებულთ, **ან** სპორტსმენებს, რომელთა შედეგები სჭარბობენ სსრ კავშირის რეკორდებს ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 1 ან 5 კილომეტრზე სვლით ან ადგილიდან.

**მეორე თანრიგი** ენიჭება სპორტსმენებს, რომელთა შედეგები არაუმეტეს 20 პროცენტით ჩამორჩება სსრ კავშირის რეკორდს ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 50 კილომეტრსა და მეტ მანძილზე, **ან** სპორტსმენებს, რომელთა შედეგები არაუმეტეს 10 პროცენტით ჩამორჩება სსრ კავშირის რეკორდს ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 1 ან 5 კილომეტრზე სვლით ან ადგილიდან.

**მესამე თანრიგი** ენიჭება სპორტსმენებს, რომელთა შედეგი არაუმეტეს 30 პროცენტით ჩამორჩება ავტომობილების ერთ-ერთ კლასში 50 კილომეტრსა და მეტ მანძილზე სსრ კავშირის რეკორდს.

**შენიშვნა:** 1 ან 5 კილომეტრ მანძილზე მესამე თანრიგი არ ენიჭება.

## ავტომანქანები პირადი სარგებლობისათვის

საქართველოში დღითი დღე იზრდება მოთხოვნილება ავტომანქანებზე. მრავალი ავტომოყვარული გაერთიანებულია ავტოსაქმის შემსწავლელ წრეებში.

ახლახან ავტომანქანები „პობედა" შეიძინეს სპორტსმენებმა ა. კიკნაძემ, ი. სარჯველაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა კ. ზავრიევმა, პროფესორმა დ. ბერეჟიანმა და სხვებმა.

იმ პირთათვის, რომლებიც იმყოფებიან რაიონში და ესაჭიროებათ ავტომანქანის ნაწილები „ავტოტრაქტოროსბიტის" თბილისის მაღაზია ნაწილებს გზავნის ფასიანი ამანათებით.

ამას წინათ თბილისში გაიხსნა ავტოპროფილაქტორიუმი, რომელიც მომსახურებას უწევს პირად საკუთრებაში მყოფ მანქანებს. აქ წარმოებს მანქანების წვრილმანი შეკეთება, გასუფთავება და შემოწმება.

## თბილისის პირველობა ფრენბურთში

ორი კვირის განმავლობაში ქალაქის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა რვა-რვა გუნდი დაძაბულ ბრძოლებში ერთმანეთს ეცილებოდა თბილისის 1950 წლის ჩემპიონის საპატიო ტიტულს.

ფინალში გავიდნენ რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და „დინამოს" ვაჟთა გუნდები, რომელთაც ქულათა ერთნაირი რაოდენობა ჰქონდათ. გადამწყვეტი მატჩი მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით — 3:1.

ქალთა გუნდებს შორისაც გაიმარჯვეს დინამოელებმა. მათ ფინალში დაამარცხეს „მეცნიერების" ფრენბურთელები და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს.

## შეჯიბრება ხალხურ ნიჩბოსნობაში

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). ლ. ბ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკის ტბაზე ჩატარდა შეჯიბრება ხალხურ ნიჩბოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ „სპარტაკის", პედაგოგიური ინსტიტუტისა და პიონერთა პარკის გუნდები.

ერთადგილიანი ბაიდარებით 1.000 მეტრზე გაცურვაში ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს გასული წლის ჩემპიონი კუნინა. ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ჩემპიონმა გვალიამ.

ერთადგილიანი ნავით 1.000 მეტრზე გაცურვაში ქალთა შორის გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სერედამ, ვაჟთა შორის—ზურაბიანმა.

## ტურისტები მწვანე კონცხზე

მუშაობა დაიწყო მწვანე კონცხის ტურისტთა სახლმა. ამ დღეებში აქ ჩამოვიდა მოსკოველ ტურისტთა ჯგუფი, რომელმაც კავკასიის გზატკეცილის შესწავლის მიზნით მწვანე კონცხზე ჩამოსვლამდე იმოგზაურა ძაუჯიყაუდან გორამდე.

მოსკოველი ტურისტები გაეცნენ აგრეთვე იმ ისტორიულ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდთან ბათუმში, დაათვალიერეს აჭარის სახელმწიფო და ბათუმის ისტორიული მუზეუმები, ნახეს „თამარის ციხე-ქალაქი", აჭარის კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი.

პ. სახეჩიძე
(ჩვენი საკ. კორ.)

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### ჩეხოსლოვაკელ მოცურავეთა რეკორდი

ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა ამანათცურვაში 10×50 მ. თავისუფალი სტილით ნაციონალური რეკორდი დაამყარეს 6:25,5. საუკეთესო დრო — 33,5 უკანასკნელ ეტაპზე უჩვენ: ვ. ბეჩვაროვსკამ.

### მოკრივეთა ჩემპიონატი

პრაღაში დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატი კრივში. ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვეს (დაწყებული უმჩატესი წონიდან): მაიდლოხმა, მუელაიმ, სტეხლიკმა, კრალიჩეკმა, კოუდელამ, ხელენბრანდტმა, რადკაიზერმა და ნეტუკამ.

### საერთაშორისო ტურნირი პოლონეთში

პოლონეთის ერთ-ერთ კურორტზე — სჩავნო-ზდრუეში მიმდინარეობს 1940 წელს ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული ცნობილი პოლონელი ოსტატის დავით პშეპიურკას ხსოვნის აღსანიშნავი საერთაშორისო ტურნირი.

ტურნირში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გამოჩენილი მოჭადრაკეები.

ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიდის საბჭოთა დიდოსტატი კერესი, რომელსაც ექვსი ტურის შემდეგ მოგროვილი აქვს 5½ ქულა.

## თბილისის სპორტული კვირა

**ფეხბურთი. 30 ივნისიდან 7 ივლისამდე. თბილისის თასის გათამაშება და პირველობა.** ლ. ბ. ბერიას სახელობის „დინამოს", ლენინის სახელობის, მაუდ-კომვოლის ფაბრიკის, 26 კომისრის სახელობის რაიონის სტადიონები. დასაწყისი კვირას 10 საათზე, დანარჩენ დღეებში 17 საათზე.

**ფრენბურთი. 30 ივნისი. საქართველოს თასის გათამაშების ფინალი.** კალათბურთის სტადიონი (კიროვის სახელობის პარკი) დასაწყისი 19 საათზე.

**კრივი. 1-დან 3 ივლისამდე. თბილისის პირველობა ჭაბუკთა შორის.** ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. დასაწყისი 19 საათზე.

**მაგიდის ჩოგბურთი. 2-9 ივლისს. თბილისის პირადი პირველობა.** „თბილმშენის" სასპორტო მოედანი (ბრძოლის ქ. № 47) დასაწყისი კვირას 11 საათზე, დანარჩენ დღეებში 19 საათზე.

## სპორტის ისტორიიდან

# ყაბახი

ძველი ქართული სპორტის სახეობათა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ყაბახი—გაჭენებული ცხენიდან მიზანში მორტყმა.

თბილისის ახლანდელი კომუნარების სახელობის ბაღის ადგილას იყო იპოდრომი, სადაც სხვადასხვა სახის სპორტული თამაშობანი ეწყობოდა.

მართალია, ყაბახი სამიზნო წერტილია და არა მოედანი, მაგრამ ხალხი იმ მინდორსაც, სადაც ყაბახს ესროდნენ, ყაბახს ეძახდა.

პლატონ იოსელიანის ცნობით: „თბილისის ზღუდეთა ჩრდილოთ იყო ჰიპოდრომი, ე. ი. საცხენოსნო სარბიელი, სადაც იმართებოდა სხვადასხვა სახალხო თამაშობანი და სამხედრო ვარჯიშობანი. ძველად ამ ადგილს ერქვა ასპარეზი, ე. ი. სავარჯიშო ადგილი, შემდეგ დაარქვეს ყაბახი, რომელიც ნიშნავს ანძას. ამ ანძის ზევით თავზე სდებენ საჩუქარს. ეს საჩუქარი იმას ხვდებოდა, ვინც აღნიშნულ ნიშანს მოარტყამდა (ანძა ანუ თალარი იყო აშენებული აგურისაგან). ერთი ამგვარი ანძა საასპარეზო მოედნის თავში იყო და მეორე ბოლოში. ანძებზე ანუ თალარებზე საუკეთესო მეისრეებისათვის დასვამდნენ ხოლმე ვერცხლის და ოქროს თასებს. იმავ მოედანზე იმართებოდა ბურთობა, მარულა და სხვა სამხედრო ვარჯიშობანი. ეს მოედანი სიგრძით იყო 250 და სიგანით 120 საჟენი" (პ. იოსელიანი. „ქალაქ თბილისის სიძველეთა აღწერა". 1866 წ. გვ. 266).

ყაბახის ხელოვნებას ვაჟებს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ. „რუსუდანიანში" ჯიმშედ მეფის აღზრდის შესახებ ნათქვამია: „ხუთი წლისა რომ გათავდა, ძალზე ცხენს არბევდა და ყაბახს ესროდა, არა ზნეობა და მოწიფულობა არა აკლდა რა, რომ არ ეცოდა".

ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით ყაბახი იმართებოდა აღდგომა დღეს: „ხოლო აღდგომისა წესი იყო: შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგეთა, ხორცთათა აღისხიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსა ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი" (ვახუშტი ბატონიშვილი. „საქართველოს გეოგრაფია").

ყაბახს აღდგომის გარდა სხვა დღესასწაულებისა და ქორწილის დროსაც აწყობდნენ.

შესანიშნავად აქვს აღწერილი ყაბახი თეიმურაზ მეორეს თავის თხზულებაში „სარკე თქმულთა".

XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში ყაბახის თემის რკალი გრიგოლ ორბელიანმა გახსნა. 1832 წელს დაწერილ ლექსში „იარალის", აღწერილობა ყაბახისა თხრობის უჩვეულობამდე ადის:

„გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი
ჭაბუკ მხედარნი ყაბახსა ვრცელსა
ტურფად დარახტულ და
დაკაზმულნი,
ვით ალვა რგულნი, ცხენზედ
უძრავად
ესრეთ მოჰქრიან ვითა ნიავი;
ჰკრეს ნაღარასა—განიყვნენ ორად,
აჰა, საამო სჩანს სანახავი.
ცხენთა გრიალი,
შუბთა ტრიალი
ჯირით სრიალი,
ყურთ-მაჯთ ბრიალი,
ცხენით ქვე ხტომა,
კვალად შეხტომა,
უზანგთა ცემა
და ხმალთ კრიალი!..
ზოგი არწივსა ზეცას მფრინავსა
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა,
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის
და მოხდა ქვაზე თასს ნიშნად
დგმულსა".

ლიტვაში, 1836 წლის 15 იანვარს დაწერილ ლექსში „ყაბახისადმი", გიორგი ერისთავი ასე მიმართავდა ყაბახს:

„მითხარ, ხომ ჩემებრ შენცა
დროით არ იქმენ ცვლილი?
კვალად ჭაბუკნი შენზედ ჰუნეთ
ხომ ახტუნებენ?"

უკანასკნელ ყაბახში, რომელიც გასული საუკუნის დამლევს გაიმართა, გაიმარჯვა საკმაოდ ცნობილმა ლიტერატორმა კონა ერისთავმა.

თანდათან ყაბახზე ასპარეზობა და ჯირითობა ჩამოსულ ჯამბაზთა სეანსებით შეცვლილა. პოეტი და პუბლიცისტი მიხეილ თუმანიშვილი გულისწყრომით აღნიშნავდა ამ ცვლილებას: „საღამოს ჟამს ჩაველ ყაბახზე. მუზიკა იკვროდა და იყო დიდი ხალხის დენა. იქ წარმოადგენდნენ თავიანთს უნარს მოსული ჯამბაზები და გვიჩვენებდნენ თავიანთს ცხენოსნობას. ატყდა ცხენების ჭენება. ვუყურე, ვუყურე, თუ როგორ ტიტველა დედაკაცები უბელო ცხენებს ახტებოდნენ. ამის შემდგომ დაიწყეს მალაყები და სხვა კიდევ რაღაც მიქარვები. წამოვდექ საჩქაროდ და გამოვარდი გარეთ. მომაგონდა ძველი დროის შექცევაები, უწინდელი ასპარეზობა, უწინდელი ჯირითობა ყაბახზე". (ჟურნალი „ცისკარი" № 1. 1858 წელი).

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ცხენოსნური სპორტის რესპუბლიკურმა სექციამ აღადგინა ქართული ცხენოსნობის ერთ-ერთი ძველთაძველი სახე—ყაბახიც.

ი. ბალახაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, II სართული. ტელეფონი 3-90-34.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000 უე 04555